

# პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

საკვლევი თემა:

მე-8 კლასში ქიმიის სწავლებისას ნაერთთა კლასების  
შესწავლის სირთულეები და ამ პრობლემის „კეთებით  
სწავლებით“ დაძლევა

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლის  
ქიმიის პედაგოგი  
ნანა დემუროვი  
2019 სასწავლო წელი

## ს ა რ ჩ ე ვ ი:

შესავალი -----	3
თავი I -----	5
1.1. ლიტერატურის მიმოხილვა -----	5
თავი II -----	8
2.1.საკვლევი საკითხის მიმოხილვა-----	8
2.2 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება -----	8
2.3 კვლევის მიზნები და მისი მნიშვნელობის დასაბუთება -----	8
თავი III -----	10
3.1. კვლევის პროცესის თანმიმდევრობა, პერიოდი, კვლევის ობიექტები და დაკვირვების კრიტერიუმები -----	10
2.3. დაკვირვების მიზნები, მოლოდინები და შედეგები -----	11
თავი IV -----	15
4.1. მუშაობა ფოკუს-ჯგუფებთან -----	15
თავი V -----	18
4.1. მოპოვებული მონაცემების ანალიზი -----	18
თავი VI -----	21
6.1. შემუშავებული ინტერვენციები -----	21
6.2. ინტერვენციების რეალიზება და მათი ანალიზი -----	22
6.3. მოსწავლეთა მიერ ინტერვენციის ობიექტური შეფასება -----	24
თავი VII -----	27
7.1. დასკვნა - კვლევის შედეგები და სარგებლიანობა -----	27
6.2. შემუშავებული რეკომენდაციები -----	28

გამოყენებული ლიტერატურა და ბმულები -----30

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ -----32

## შესავალი

„განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას და არა ფაქტების დამახსოვრებას. მისი მთავარი სლოგანია სწავლა კეთებით“

ჯონ დევი

მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას განაპირობებს არა მხოლოდ მოსწავლეთა უნარები და მასწავლებელთა კვალიფიკაცია, არამედ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რაც, მოტივაციის გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელია. „- სკოლის პერიოდში ბავშვის სწავლის მოტივაცია წარმატების ძირითადი ფაქტორია. სწრაფი ტექნოლოგიური მიღწევები, მუდმივად ცვალებადი ცოდნა, სამსახურის შეცვლის საჭიროება, უწყვეტი მოტივაცია ისწავლო - ეს ის ძირითადი კრიტერიუმებია, რომლებიც პირად მიღწევებსა და წარმატებებზე მთელი ცხოვრების განმავლობაში ახდენს გავლენას“ (R. Weinstein, 1998, გვ.81).

ზოგადად, მოტივირებულ მოსწავლეებს უფრო დადებითი განწყობა გააჩნიათ სკოლის მიმართ და სკოლას დამაკმაყოფილებლად აღწერენ; არ გაურბიან რთულ დავალებებს და შედარებით ნაკლები პრობლემები აქვთ მართვაში; ინფორმაციას გადაამუშავებენ უკეთესად და წარმატებას ადვილად აღწევენ. მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და კეთებით სწავლება სასწავლო პროცესში წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს დადებითი შედეგების მისაღწევად. ამიტომაც, დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელის უნარს - მოსწავლეებში აღძრას სურვილი, საკუთარი ხელით გააკეთოს ის, რაც წაიკითხა.

„ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმაში“ საბაზო საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნულია:

*„სწავლების ამ საფეხურზე მოსწავლეს კიდევ უფრო მეტად უვითარდება შემეცნებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. მოსწავლე იწყებს ემპირიული გზით სამყაროს აღქმას, შემოქმედებითად აზროვნებას, ცდილობს სამყაროში ადამიანის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრას. საბაზო საფეხურზე მოსწავლე ივითარებს სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს, რომელთაგან პრიორიტეტულია:*

- *კვლევის ზოგიერთი თანამედროვე მეთოდის გამოყენება;*
- *სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და გამოყენება;*
- *ექსპერიმენტის დაგეგმვა და წარმართვა, მონაცემთა შეგროვება-დამუშავება;*
- *კრიტიკული ანალიზი, დასკვნების გამოტანა;*
- *პრეზენტაცია (გრაფიკების, დიაგრამების, მოდელის შექმნა).“*

საბაზო საფეხურზე აღნიშნული უნარ-ჩვევების გამომუშავება საკმაოდ რთული და სპეციფიკურია. იგი მასწავლებლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდის მიმართულებით. მოსწავლე რაც უფრო ჩართულია საგაკვეთილო აქტივობებში, რესურსების შექმნასა და ცდების ჩატარებაში, მით უფრო მაღალია სააზროვნო უნარების განვითარების დონე. მასწავლებელმა მიზანმიმართულად და გააზრებულად უნდა გამოიყენოს თითოეული გაკვეთილი, თითოეული სასწავლო აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად.

ამიტომაც გადავწყვიტე - საკითხი საფუძვლიანად შემესწავლა და ჩემს პრაქტიკაში სხვადასხვა თანამედროვე მეთოდით გამომეკვლია, მისი მოგვარებისთვის აუცილებელი რეკომენდაციები შემეთავაზებინა კოლეგებისათვის.

## თავი I

### 1.1. ლიტერატურის მიმოხილვა

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია მოსწავლის შედეგზე ორიენტირება. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის ჩართულობა ყველაზე მეტად შესაძლებელია კეთებით სწავლების დროს, ანუ მაშინ, როდესაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აგებს ცოდნას; როდესაც იგი ხედავს იმ ქიმიურ პროცესებს, რომლებზეც მანამდე მხოლოდ თეორიული წარმოდგენა ჰქონდა.

„სწავლა კეთებით“ საბუნებისმეტყველო საგნების პრიორიტეტია. მე-8 კლასში ქიმიის შესწავლის ძირითადი ამოცანაა, მოსწავლე შეამზადოს, სწორი მიმართულება მისცეს მას ფუნდამენტურ მეცნიერებებში. კვლევაში: „სახელმწიფო შეფასება საბუნებისმეტყველო საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - 2016 წ.)“ ნათქვამია: ქიმიაში კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა 30% წარმატებით ართმევს თავს მიღწევის უმაღლესი საფეხურის დავალებებს; მათ შეუძლიათ რთული სავარჯიშოებისა და ამოცანების შესრულება, თუმცა მხოლოდ 3%-ს შეუძლია ლაბორატორიულ პრაქტიკუმებში ჩართვა, კომპლექსური ინფორმაციის ანალიზი, მსჯელობა და დასკვნების გამოტანა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით ქიმიაში არის გათვალისწინებული

კეთებით სწავლება პრაქტიკული სტრატეგიაა. ამ სტრატეგიის მიზანია, მოსწავლე უშუალოდ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში, თავად იყოს მისი მონაწილე და მიიღოს ცოდნა. „დღეს თუ თანამედროვე სკოლა, მისი ხელმძღვანელები დროისა და ძალების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ სასავლო პროგრამების და სწავლების მეთოდების დამუშავებაზე, მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდაა, აუცილებლად ბევრს იფიქრებდა სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას,“ (დ. უზნაძე)

კეთებით სწავლება იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლის პრაქტიკა იყოს აზრიანი და მან მართლაც გააცნობიეროს ის, რასაც აკეთებს. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლის ჩართვა პრაქტიკულ საქმიანობაში; ამით მოსწავლე შეძლებს, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ისწავლოს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მოტივაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ უსაფრთხო და პროდუქტიულია სწავლება მაშინ, როდესაც თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად, საკუთარ საჭიროებებზე მორგებული პრაქტიკული აქტივობების განხორციელებაშია ჩაბმული.

საკვლევი საკითხის უკეთ შესასწავლად გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლის შინაგანი სამყაროსა და შიდაჯგუფური ურთიერთობების, არამედ პრობლემური სიტუაციის სრული და ყოველმხრივი შესწავლისთვისაც; რაოდენობრივი მეთოდები კი სოციალურ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საჭირო მონაცემების მოპოვების საიმედო და აღიარებულ ტექნიკადაა მიჩნეული (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, „სამუშაო მასალა“, 2016 წ. გვ.1-2). კვლევის პროცესში თვისებრივი და რაოდენობრივი და მეთოდების ერთობლივი გამოყენება უზრუნველყოფს კვლევის სანდოობასა და მაღალ ხარისხს.

თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან ავირჩიეთ ფოკუს-ჯგუფი, რომელიც ჯგუფური ინტერვიუს სახეობაა. ზოგი მკვლევარი ფოკუს-ჯგუფს „ჯგუფურ სიღრმისეულ ინტერვიუსაც“ უწოდებს. ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებისას ერთდროულად რამდენიმე რესპონდენტს ვესაუბრებით და ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ მათ შორის აზრთა გაცვლას. რაც ასევე მნიშვნელოვანია, რამდენიმე ადამიანით დაკომპლექტებულ ჯგუფში ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე ისეთი ინდივიდი, რომელიც, სხვებთან შედარებით, უფრო გულახდილია; მისი გულახილობა, როგორც წესი, ჯგუფის სხვა წევრების გულახდილობასაც განაპირობებს. ინტერვიუერის უშუალოება კი რესპონდენტს მეტ თავდაჯერებულობას მატებს. (სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის - „თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, თინათინ ზურაბიშვილი, თბილისი, 2006 წ. გვ:4-5).

ფოკუს-ჯგუფის წარმატებას დიდწილად განსაზღვრავს მოდერატორის უნარი, გაუძღვეს დისკუსიას, გამოიწვიოს მონაწილეთა გულახდილობა, უზრუნველყოს ყველა რესპოდენტის მონაწილეობა დისკუსიაში (სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის, „თვისობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, თემა 3 „ფოკუს ჯგუფი“, თინათინ ზურაბიშვილი, თბილისი, 2006 წ. გვ: 27).

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ კიდევ ერთი მეთოდი: ანონიმური ანკეტირება. ამ დროს რესპოდენტის ვინაობა დაფიქსირებული არაა, ხოლო რესპოდენტსა და მკვლევარს შორის ურთიერთობა გაშუალებულია ანკეტით.

შევარჩიეთ დახურული ტიპის კითხვები; მათზე პასუხის გასაცემად რესპოდენტები ირჩევდნენ არსებული ვარიანტებიდან ერთ-ერთს. დახურულ შეკითხვებს ის უპირატესობა აქვთ, რომ რესპოდენტებს საქმე უადვილდებათ - მკვლევარი თავად სთავაზობთ შესაძლო პასუხებს. შესაბამისად, ანკეტირება სწრაფად მიმდინარეობს. კომპიუტერში პასუხების შეტანა ადვილდება, რადგან დახურული კითხვები წინასწარ კოდირებულია.

ამგვარი კითხვების უპირატესობად ითვლება ისიც, რომ რესპოდენტებს უადვილდებათ „მგრძნობიარე“ საკითხებზე პასუხის გაცემა. დახურული შეკითხვების ნაკლად მიიჩნევა ის გარემოება, რომ არ იძლევიან საკითხში ჩაღრმავების საშუალებას (სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის, „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, ლია წულაძე, თბილისი, 2008 წ. გვ: 25/29).

## თავი II

### 2.1. საკვლევი საკითხის განხილვა:

წლების მანძილზე, ჩემი კოლეგები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მათი მოსწავლეები VIII კლასებში სწავლისას ქიმიაში ნაერთთა კლასების შესწავლისას იმაზე გაცილებით დაბალ შედეგებს იღებდნენ ხოლმე, ვიდრე მე-7 კლასში. ამ ფაქტს ადასტურებს არა მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგთა და მკვლევართა გამოცდილება, არამედ მერვე კლასების მშობლებიც. შესაბამისად, მშობლები პედაგოგების მიმართ გამოხატავდნენ უკმაყოფილებას. თუმცა, ამ პრობლემის გამომწვევი ზუსტი მიზეზები მათთვის გაუგებარი იყო.

### 2.2. პრობლემის აქტუალობის დასაბუთება:

ქიმიის სწავლისას მკვეთრად რატომ იკლებს მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია, შესაბამისად - მოსწავლეთა შედეგები მე-8 კლასში, მე-7 კლასთან შედარებით?

ამ კითხვაზე ამომწურავი, დასაბუთებული და არგუმენტებით გამყარებული პასუხი არცერთ მასწავლებელს არ ჰქონდა, რომლებიც თავიანთი მოსწავლეებისა და მათი მშობლების საგრძნობი უკმაყოფილების ადრესატი ხდებოდნენ. ჩემს კოლეგებთან კომუნიკაციისას თანდათან აღმოვაჩინე, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ერთ ან ორ სკოლაში არ დგას. ეს გარემოება ჩემი კვლევის ჩატარების უმთავრეს მიზეზად იქცა.

### 2.3. კვლევის მიზნები და მისი მნიშვნელობის დასაბუთება

კვლევის მიზნებია:

- მოსწავლეთა შედეგების კლების გამომწვევი მიზეზების გარკვევა VIII კლასებში, VII კლასთან შედარებით;



- იმის გარკვევა, როდის სწავლობენ ქიმიას უკეთესად: ლაბორატორიული პრაქტიკუმების ჩატარებისას, თუ მხოლოდ წიგნთან მუშაობა უადვილდებათ;
- რის გამო სწავლობენ ქიმიას: საგანია მათთვის საინტერესოა, თუ სურთ მაღალი შეფასების მიღება, ან ორივე ერთად;
- რომელი თემა უჭირთ და რა არის საჭირო ზემოაღნიშნული თემის უკეთ შესწავლისთვის;
- VIII-კლასის მოსწავლეთა მშობლების უკმაყოფილების მიზეზების გარკვევა;
- იმის გარკვევა, მასწავლებელთა განმავითარებელი კომენტარები შეესაბამება თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს;
- რამდენად იყენებენ VIII კლასის პედაგოგები ეფექტიან განმავითარებელ შეფასებებს - განმსაზღვრელ შეფასებებთან ერთად;
- იცნობენ, თუ არა მშობლები შეფასების კრიტერიუმებს;
- უზიარებენ, თუ არა პედაგოგები ერთმანეთს გამოცდილებას მოსწავლეთა მოტივაციის და შეფასების პროცესში წარმოქმნილი სირთულეებისა და გადაჭრის გზების შესახებ.
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ვიყენებთ თუ არა პედაგოგები მრავალფეროვან სტრატეგიებს საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას;
- რამდენად მიზანმიმართულად იყენებენ VIII კლასის ქიმიის პედაგოგები საინტერესო საკლასო და კლასგარეშე აქტივობებს მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად;

კვლევის განხორციელებისას დადგინდა, რომ VIII კლასის მასწავლებლებმა სათანადოდ არ იცოდნენ, რამდენად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის VIII კლასის საგნობრივი სტანდარტები და მისაღწევი შედეგები მათი კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს. აგრეთვე, პედაგოგები ნაკლებად ვიყენებთ მრავალფეროვან სტრატეგიებს, მოსწავლის ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას; ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი შეფასებები ნაკლები ინტენსივობით ან / და საერთოდ არ გამოიყენებოდა ქიმიის გაკვეთილებზე.

ჩემი პრაქტიკის კვლევა „მე-8 კლასში ქიმიის სწავლებისას ნაერთთა კლასების შესწავლის სირთულეები და ამ პრობლემის „კეთებით სწავლებით“ მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მოსწავლის მოტივაციის გაუმჯობესება სწორედ „კეთებით სწავლას“, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ მრავალფეროვან გაკვეთილებს, მიზნობრივად გამოყენებულ განმავითარებელ შეფასებებსა და მოსწავლეთათვის საინტერესო კლასგარეშე აქტივობებს შეუძლია.

### თავი III

#### 3.1. კვლევის პროცესის თანმიმდევრობა, პერიოდი, კვლევის ობიექტები და დაკვირვების კრიტერიუმები:

აღსანიშნავია, რომ კვლევის განსახორციელებლად თავდაპირველად გამოვყავი საკვლევი თემა. განვსაზღვრე ძირითადი კითხვა და ქვეკითხვები, რომელთა შესახებაც ამ კვლევაში უნდა გვესაუბრა. დავაფიქსირე კვლევის მიზნები და მოლოდინები. შემდგომ დავაფიქსირე, როდის, რა ხანგრძლივობითა და ინტენსივობით განვახორციელებდი დაკვირვებას. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კი შევიმუშავე რეკომენდაციები.

პრობლემის გამოსაკვლევად შევქმენი ფოკუს-ჯგუფები: მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა; შემდგომ კი ჩავატარე ანონიმური ანკეტირება.

აქვე წარმოვადგენ ცხრილს, სადაც ასახულია, თუ რას ვაკვირდობდი და რა იყო ამის მიზანი:

კვლევის მეთოდი:	მიზანი:
<u>მოსწავლეთა ანონიმური ანკეტირება</u>	<ul style="list-style-type: none"><li>• იგებენ, თუ არა ახალ მასალას ქიმიაში.</li><li>• რის გამო სწავლობენ (ან არ სწავლობენ) ქიმიას, საგანია მათთვის საინტერესო (უინტერესო), თუ სურთ მაღალი შეფასების მიღება, ან - ორივე ერთად.</li><li>• რამდენად ეფექტურია მათ მიერ მიღებული განმავითარებელი შეფასება.</li><li>• რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სწავლა უფრო სახალისო და ამავე დროს, ეფექტური გახდეს.</li></ul>

<p><u>მშობელთა ფოკუს-ჯგუფი</u></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• როგორია მათი შვილის დამოკიდებულება საგნის მიმართ.</li> <li>• რა პრობლემებს ასახელებენ ისინი დაბალი აკადემიური მაჩვენებლების მიზეზად.</li> <li>• იცნობენ თუ არა მათი შვილების შეფასების კრიტერიუმებს.</li> </ul>
<p><u>მასწავლებელთა ფოკუს-ჯგუფი</u></p>	<p>იცნობენ თუ არა მასწავლებლები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მრავალფეროვანი გაკვეთილებისა და კლასგარეშე აქტივობების სტრატეგიებს,</li> <li>• ეფექტიანი უკუკავშირის პრინციპებს და რამდენად იყენებენ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში;</li> <li>• თანამშრომლობენ, თუ არა კოლეგებთან შეფასების, გაკვეთილებისა და კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასაჭრელად.</li> </ul>

მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ფოკუს-ჯგუფების შერჩევის კრიტერიუმები:

მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფი: თანამშრომლობისთვის მზადყოფნა, შედეგების გაუმჯობესების სურვილი, ინტერვენციების განხორციელებისთვის მზადყოფნა.

მშობელთა ფოკუს-ჯგუფი: შესაბამისი მომზადება, შედეგების გაუმჯობესების სურვილი, ინტერვენციების განხორციელებისთვის საჭირო დრო, თანამშრომლობისთვის მზადყოფნა.

მასწავლებელთა ფოკუს-ჯგუფი: შედეგების გაუმჯობესების სურვილი, ინტერვენციების განხორციელებისთვის საჭირო დრო, ასწავლის მე-8 კლასში, კარგად იცნობს ეროვნულ სასწავლო გეგმას.

### 3.2. დაკვირვების მიზნები, მოლოდინები და შედეგები:

არსებული მდგომარეობა ასეთი აღმოჩნდა:

დაკვირვების მიზნები:	დაკვირვების მოლოდინები:	დაკვირვების შედეგები:
სურს, თუ არა მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფს შედეგების გაუმჯობესება?	მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ჯგუფს არ სურს შედეგების გაუმჯობესება, კმაყოფილია მიღწეულით.	მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ჯგუფს არ სურს შედეგების გაუმჯობესება. კმაყოფილია მიღწეულით.
არის, თუ არა ღია თანამშრომლობისთვის?	რამდენიმე მოსწავლეს შედეგების გაუმჯობესება სურს, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, არ არის ღია თანამშრომლობისთვის.	რამდენიმე მოსწავლეს შედეგების გაუმჯობესება სურს, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, არ არის ღია თანამშრომლობისთვის.
აქვს, თუ არა სურვილი, გადადგას დამატებითი ნაბიჯები შედეგების გასაუმჯობესებლად?	ყველას აქვს სურვილი, გადადგას დამატებითი ნაბიჯები შედეგების გასაუმჯობესებლად.	უმეტესობას აქვს სურვილი, გადადგას დამატებითი ნაბიჯები შედეგების გასაუმჯობესებლად.
აქვთ, თუ არა მოსწავლეებს ქიმიაში მრავალფეროვანი გაკვეთილებისა და კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის სურვილი?	ყველას აქვს სურვილი ქიმიაში მრავალფეროვანი გაკვეთილებისა და კლასგარეშე აქტივობებში მიიღოს მონაწილეობა.	ყველას აქვს სურვილი, ქიმიაში მრავალფეროვანი გაკვეთილებისა და კლასგარეშე აქტივობებში მიიღოს მონაწილეობა.
ჩატარებიათ თუ არა ლაბორატორიული პრაქტიკუმი?	კი	არა
მიუღიათ თუ არა მონაწილეობა სასწავლო რესურსის შექმნაში?	კი	არა
გაუგიათ თუ არა მალეკულათა მოდელების (ბურთულდეროვანი, მასშტაბური) შესახებ	არა	არა
იცნობენ თუ არა მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებს?	შეფასების კრიტერიუმებზე აქვთ წარმოდგენა (რომელიც საკლასო ოთახში არის გამოკრული, მაგრამ არ	შეფასების კრიტერიუმებზე არ შუძლიათ საუბარი. ზოგიერთი საკითხი მათთვის ბუნდოვანია და

	აქცევენ სათანადო ყურადღებას).	საჭიროებს დაკონკრეტებას.
რომელი სასკოლო აქტივობაა მათთვის უფრო პრობლემური?	ზეპირი პრეზენტაცია, შემაჯამებელი სამუშაო.	შემაჯამებელი სამუშაო.
რამდენად ხშირად იღებენ მოსწავლეები განმავითარებელ შეფასებას (საგაკვეთილო პროცესში/ შემაჯამებელი წერის ანალიზის დროს)	მოსწავლეები განმავითარებელ შეფასებას მხოლოდ დაინტერესების შემთხვევაში იღებენ როგორც საგაკვეთილო პროცესის, ასევე შემაჯამებელი ანალიზის წერის დროს.	განმავითარებელ შეფასებას ძალიან იშვიათად იღებენ. დაინტერესების შემთხვევაში, იღებენ (ზოგჯერ მასწავლებლის ინიციატივითაც) მხოლოდ შემაჯამებელი წერის ანალიზის დროს.
რამდენად ეფექტურია მრავალფეროვანი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები?	ეფექტურია, ზრდის მოტივაციას	ეფექტურია, ზრდის მოტივაციას
სიტყვიერი განმავითარებელი შეფასება უფრო ეფექტურია, თუ წერილობითი განმავითარებელი შეფასება?	ორივე მნიშვნელოვანია.	წერილობითი.
იცნობენ, თუ არა მშობლები განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს?	არ იცნობენ.	გაუგიათ, მაგრამ ზუსტი წარმოდგენა არ აქვთ.
იციან, თუ არა მშობლებმა მრავალფეროვანი გაკვეთილებისა და კლასგარეშე აქტივობების შესახებ?	არ იციან.	არ იციან.
კითხვა მოსწავლეს: როგორი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები მოსწონთ?	არასრული წარმოდგენა აქვთ.	უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული. ბევრ მოსწავლეს უჭირს განსაზღვრა, როგორი უნდა იყოს. ზოგიერთი მოსწავლე ფიქრობს, რომ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე უნდა იყოს მორგებული და კონკრეტული საკითხის შესწავლას უადვილებდეს. უნდა იყოს საინტერესო და სახალისო.

კითხვა მშობელს: როგორი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები მოსწონთ?	არ იციან.	მათ სურთ, რომ შედეგზე ორიენტირებული იყოს, მაგრამ ბუნდოვნად წარმოუდგენიათ, კონკრეტულად - როგორი.
კითხვა მასწავლებელს: როგორი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას?	იციან, მაგრამ არ იყენებენ, სხვადასხვა მიზანებით.	ზოგიერთ მასწავლებელს არასაკმარისი ცოდნა აქვს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის გამოყენებულ საგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობებზე.
რამდენად ხშირად იყენებენ პედაგოგები მრავალფეროვან გაკვეთილებსა და პრაქტიკუმს, აგრეთვე მრავალფეროვან სტრატეგიებს საგაკვეთილო პროცესში?	ნაკლებად ვიყენებთ მრავალფეროვან გაკვეთილებსა და ლაბორატორიულ პრაქტიკუმებს.	ნაკლებად ვიყენებთ, დროის უქონლობის გამო.
უზიარებენ, თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის შდეგად წარმოქმნილ სირთულეებისა და გადაჭრის გზების შესახებ?	პედაგოგები იშვიათად ვუზიარებთ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას წარმოქმნილი სირთულეებისა და გადაჭრის გზების შესახებ.	პედაგოგები იშვიათად ვუზიარებთ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას წარმოქმნილი სირთულეებისა და გადაჭრის გზების შესახებ.

## თავი IV

### 4.1. მუშაობა ფოკუს-ჯგუფებთან

აქტიურად ვიმუშავე სამივე ფოკუს-ჯგუფთან (მოსწავლეთა, მაწავლებელთა, მშობელთა). ბუნებრივია, სამივე მათგანთან ინდივიდუალური მიდგომა მქონდა.

ა) მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფთან ანონიმური ანკეტირება განვახორციელე. კითხვარის პილოტირების შედეგად, გავარკვიე: გასაგებია, თუ არა ინსტრუქციები; სენსიტიურია, თუ არა კითხვა; იგებს, თუ არა ყველა მონაწილე შეკითხვას ერთნაირად; რა დრო სჭირდება კითხვარის შევსებას; შემდგომ, მონაწილეებმა შეავსეს ანკეტები და უპასუხეს შემდეგ კითხვებს, რომლებსაც თან ერთვოდა სავარაუდო პასუხები:

1. გსურთ, თუ არა შედეგების გაუმჯობესება?  
დიახ.... არა....
2. ხართ, თუ არა ღია თანამშრომლობისთვის?  
დიახ.... არა....
3. გაქვთ თუ არა სურვილი, გადადგათ დამატებითი ნაბიჯები შედეგების გასაუმჯობესებლად?  
დიახ.... არა....
4. რომელი თემა გიჭირთ უფრო მეტად?  
.....
5. როგორ ფიქრობთ, რატომ გიჭირთ?  
.....
6. გაქვთ, თუ არა წარმოდგენა მრავალფეროვანი გაკვეთილებისა და კლასგარეშე აქტივობების, აგრეთვე განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების კრიტერიუმებზე?  
დიახ.... არა....
7. რამდენად ხშირად გიტარდებთ მრავალფეროვანი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები?  
გიტარდებთ.... არ გიტარდებთ....
8. რამდენად ეფექტურია მიღებული განმავითარებელი შეფასებები?  
ეფექტურია..... ნაკლებად ეფექტურია.....
9. სიტყვიერი განმავითარებელი შეფასება უფრო ეფექტურია, თუ წერილობითი განმავითარებელი შეფასება?  
სიტყვიერი..... წერილობითი.....
10. როგორი უნდა იყოს მრავალფეროვანი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები? აგრეთვე - განმავითარებელი შეფასება, რომ ეფექტურად ჩაითვალოს?  
.....

11. რამდენად რთულია სახელმძღვანელოები? პროგრამა?  
რთულია... მარტივია.....
12. როგორია მასწავლებლის დამოკიდებულება მათ მიმართ? ხომ არ გამოირჩევა ზედმეტი სიმკაცრით?  
დიახ... არა.....
13. ახდენს თუ არა გავლენას სოციალური გარემო მათ მოტივაციაზე?  
დიახ.. არა..
14. აქვთ, თუ არა მათ სირთულეების შიში?  
დიახ... არა.....
15. როგორ შეიძლება ამაღლდეს მოტივაცია საგნის მიმართ?  
.....
16. ჩაგტარებიათ თუ არა ლაბორატორიული პრაქტიკუმი?  
დიახ..... არა.....

მშობელთა ფოკუს-ჯგუფთან მუშაობის ძირითადი მიზანი იყო მშობლების უკმაყოფილების მიზეზის დადგენა და იმის გარკვევა, რამდენად იცოდნენ მშობლებმა, მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზები.

მათთვის მოვამზადეთ შემდეგი ანონიმური ანკეტირებს ფურცლები:

1. გსურთ, თუ არა თქვენი შვილების შედეგების გაუმჯობესება?  
დიახ... არა.....
2. ხართ, თუ არა ღია თანამშრომლობისთვის?  
დიახ... არა.....
3. რომელი თემა უჭირს თქვენს შვილს?  
.....
4. როგორ ფიქრობთ რატომ უჭირს?  
.....
5. გსურთ, თუ არა, გადადგათ დამატებითი ნაბიჯები შედეგების გასაუმჯობესებლად?  
დიახ... არა.....
6. გაქვთ, თუ არა წარმოდგენა მოტივაციის ამაღლებისათვის საჭირო აქტივობებზე ?  
დიახ... არა.....
7. იცნობთ, თუ არა განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს?  
დიახ... არა.....
8. რამდენად ხშირად აქვთ თქვენს შვილებს მრავალფეროვანი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები?  
აქვთ ხშირად... არ აქვთ ხშირად...
9. რამდენად რთულია სახელმძღვანელოები თქვენი შვილებისთვის?  
რთულია ... მარტივია...
10. როგორია მასწავლებლის დამოკიდებულება თქვენი შვილების მიმართ? ხომ არ გამოირჩევა



ზედმეტი სიმკაცრით?

დიახ.... არა....

11. ახდენს თუ არა გავლენას სოციალური გარემო თქვენი შვილების მოტივაციაზე?

დიახ... არა...

12. აქვთ თუ არა თქვენს შვილებს სირთულეების შიში?

დიახ... არა..

13. როგორ ცდილობთ შვილის მოტივაციის გაუმჯობესებას?

.....

მასწავლებელთა ფოკუს-ჯგუფთან კომუნიკაციისას გვინტერესებდა: რამდენად ხშირად იყენებდნენ მრავალფეროვან შიდასაკლასო აქტივობებს; ატარებენ, თუ არა ლაბორატორიულ პრაქტიკუმებს, სადემონსტრაციო ცდებს, ჩაურთავთ თუ არა მასწავლებლებს მოსწავლეები სასკოლო და საკლასო რესურსების შექმნაში? ეფექტურია თუ არა მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული განმავითარებელი შეფასებები? განმსაზღვრელი შეფასება გასაგები და გამჭვირვალეა თუ არა ყველა მოსწავლისთვის? როგორია გაკვეთილებზე მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და კლასგარეშე აქტივობების გამოყენების სიხშირე და ხარისხი? უზიარებენ, თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების და შეფასების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადაჭრის გზების შესახებ.

რამდენად იცნობენ ისინი ეფექტური უკუკავშირის პრინციპებს და რამდენად იყენებენ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში; ასევე, რამდენად თანამშრომლობენ კოლეგები შეფასების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასაჭრელად.

დისკუსიის შემდგომ ჩატარდა ანონიმური ანკეტირება:

1. გსურთ, თუ არა შედეგების გაუმჯობესება?

დიახ... არა..

2. ხართ, თუ არა ღია თანამშრომლობისთვის?

დიახ... არა..

3. კონკრეტულად რომელი თემა გიჭირთ?

.....

4. გაქვთ, თუ არა სურვილი, გადადგათ დამატებითი ნაბიჯები შედეგების გასაუმჯობესებლად?

დიახ... არა..

5. იცნობთ, თუ არა „ეფექტიანი უკუკავშირის“ პრინციპებს?

დიახ... არა..

6. იყენებთ, თუ არა „ეფექტიანი უკუკავშირის“ პრინციპებს პრაქტიკაში?

დიახ... არა..

7. რამდენად ხშირად ატარებთ მრავალფეროვან გაკვეთილებს და კლასგარეშე აქტივობებს?  
ვატარებ..... არ ვატარებ.....

8. რამდენად ხშირად ატარებთ ლაბორატორიულ პრაქტიკუმებს?  
ვატარებ..... არ ვატარებ.....

9. რამდენად ხშირად ატარებთ სადემონსტრაციო ცდებს?  
ვატარებ..... არ ვატარებ.....

10. რამდენად შედეგიანია მრავალფეროვანი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად?  
შედეგიანია... არ არის შედეგიანი....

11. როგორი უნდა იყოს მრავალფეროვანი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები? აგრეთვე განმავითარებელი შეფასება, რომ ჩაითვალოს ეფექტურად ?

.....  
12. რამდენად რთულია სახელმძღვანელოები თქვენი მოსწავლეებისთვის?  
რთულია... მარტივია.....

13. როგორი დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებთან? ხომ არ გამოირჩევიან ზედმეტი სიმკაცრით?  
დიახ... არა.....

14. ახდენს თუ არა გავლენას სოციალური გარემო მოსწავლეთა მოტივაციაზე?  
დიახ.. არა..

15. აქვთ თუ არა მოსწავლეებს სირთულეების შიში?  
დიახ... არა.....

16. როგორ შეიძლება ამალდეს მოტივაცია საგნის მიმართ?  
.....

## თავი V

### 5.1. მოპოვებული მონაცემების ანალიზი:

- VIII კლასის მასწავლებლების უმეტესობა სათანადოდ არ იცნობდა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ამიტომ, გადაჭარბებული მოლოდინები ჰქონდათ მოსწავლეების მიმართ. აღსანიშნავია, რომ მე-8 კლასში კლასებში ჩატარებული გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები სათანადოდ არ იყო მორგებული მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. შიდასაკლასო დავალებები მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ნაკლებად იყო ორიენტირებული.

- მასწავლებელთა მიერ მიცემული განმავითარებელი შეფასებები შემოიფარგლებოდა მხოლოდ ორიოდ არაფრისმთქმელი სიტყვით: „ კარგი გოგო ან/და ბიჭი ხარ, „ზარმაცობ“, „არ აქტიურობ“, „ისწავლე უკეთესად“.... აგრეთვე, მასწავლებლების ნაწილი სამუშაოში დაშვებული უზუსტობებისა და შეცდომების ჩამოთვლით შემოიფარგლება. დაბალი იყო გაკვეთილებზე მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და კლასგარეშე აქტივობების გამოყენების სიხშირე და ხარისხი .

- მოსწავლეებს არ ან/და ნაკლებად უტარდებოდათ ლაბორატორიული პრაქტიკუმები. ზოგიერთი მასწავლებელი აფიქსირებდა, რომ მათთვის პრობლემურია მოსწავლეების მიერ ჩატარებული პრაქტიკუმები, რადგან მოსწავლეებმა შესალოა, ზუსტად და უსაფრთხოდ ვერ ჩაატარონ ცდები და თანატოლებიც კი დააზიანონ. გამოითქვა შიში პრაქტიკუმების ჩატარებასთან დაკავშირებით.

- პედაგოგები იშვიათად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და შეფასების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადაჭრის გზების შესახებ.

- იშვიათად რთავდნენ მოსწავლეებს საგაკვეთილო რესურსების შექმნაში.

- იშვიათად იყენებდნენ ეფექტიანი უკუკავშირის პრინციპებს პრაქტიკულ საქმიანობაში; ასევე, იშვიათად თანამშრომლობდნენ კოლეგები შეფასების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასაჭრელად;

**ა) კვლევისას გამოიკვეთა მასწავლებელთა 3 ჯგუფი:**

I. მასწავლებლების მცირე ნაწილი მიიჩნევდა, რომ მრავალფეროვანი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები მნიშვნელოვან ზეგავლენას არ ახდენს მოსწავლეთა მოტივაციაზე; გადატვირთული პროგრამის გამო, „დროის ფუჭ ფლანგვას“ წარმოადგენს.

II. ზოგი პედაგოგი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ზოგიერთი გაკვეთილი უნდა ჩატარდეს განსხვავებული აქტივობებით. ძირითადად, მოსწავლეებისთვის უფრო შედეგიანია ჩვეული საგაკვეთილო რუტინა.

III. მასწავლებლების ნაწილი კი ცდილობს გაამრავალფეროვნოს საგაკვეთილო პროცესი საინტერესო აქტივობებით, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

**ბ) მშობელთა ფოკუს-ჯგუფის ანალიზით დადგინდა:**

მშობლების მნიშვნელოვან ნაწილს სურს, მათმა შვილებმა გააუმჯობესოს შედეგები, მაგრამ ბუნდოვანი წარმოდგენა (მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში) აქვთ მოტივაციის ამალებისათვის საჭირო აქტივობებზე.

მშობელთა უმეტესობა არ არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. ისინი ერიდებიან მასწავლებელთან შეხვედრას, რადგან მათი შვილების უარყოფითი დახასიათების მოსმენის ემინათ. ზოგი მშობელი ვერ იცლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ზოგი მშობელი კი ინდიფერენტულია, ან/და სკეპტიკურად უყურებს ქიმიაში შვილის შესაძლებლობებს.

გ) VIII კლასებში მოსწავლეებზე განხორციელებულმა **ფოკუსირებული დაკვირვებამ** გვაჩვენა, რომ:

მოსწავლეთა ერთ ნაწილს გაკვეთილზე უყურადღებობის, არათანმიმდევრული მეცადინეობის გამო აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა დაძლევა უჭირს, ამიტომ ნაკლებად მოტივირებულია.

მოსწავლეთა ნაწილს არ უნდა აღიაროს საკუთარი პრობლემები. აქვს დაბალი შესაძლებლობები და არასათანადო მოტივაცია.

ზოგიერთი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე და მოტივაციაზე დიდ ზეგავლენას ახდენს სოციალური გარემო და მისთვის რთულად გასაგები სახელმძღვანელოები.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგაკვეთილო პროცესში დაფიქსირებული განმავითარებელი შეფასებების უმეტესობა ზოგადია და ორიენტირებული არაა ნაკლოვანი მხარეების დაძლევისკენ. შემაჯამელი სამუშაოების განმავითარებელი შეფასება კი უპირატესად წარმოადგენს შეცდომების ჩამონათვალს.

განმსაზღვრელი შეფასება მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები ცნობილია თითქმის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის.

## თავი VI

### 6.1. შემუშავებული ინტერვენციები:

მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშე შემდეგი სახის ინტერვენციები:

- 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმე და ჩავატარე ისეთი გაკვეთილები, როგორცაა: ლაბორატორიული პრაქტიკუმი, პროექტი-გაკვეთილი, პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი, ელექტრონული რესურსების გამოყენებით დაგეგმილი გაკვეთილები;
- მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად, გაკვეთილებზე მოვამზადეთ საკლასო რესურსები;
- ჩავატარე გამოკითხვა: რა ტიპის აქტივობებით ინტერესდებიან, რომლითაც უკეთესად იგებენ ახალ მასალას;
- შევისწავლე მოსწავლეთა ინტერესები და შესაბამისად ჩავრთე კლასგარეშე აქტივობებში: კვლევით პროექტებში, ექსპერიმენტარიუმში მოწყობილ საგნობრივ ექსკურსიაში, ქიმიური მოვლენების გაანალიზებაში.
- მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასკოლო და საშინაო აქტივობებში ჩავრთე მშობლებიც, რომელთაც სისტემატიურად ვაწვდიდი ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ. ვაწვდიდი ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა დახმარებოდნენ შვილებს დავალების შესრულებაში;
- გამოვყავი არასაგაკვეთილო დრო, როცა მოსწავლეს შეეძლო, მოემართა ჩამთვის დახმარების გაწევის მიზნით.
- ლაბორატორიული პრაქტიკუმის დაგეგმვისას, აქტივობები დავგეგმე ისე, რომ მოსწავლეებს საკუთარი ხელით ჩაეტარებინათ ცდები და გაეანალიზებინათ ცდის

შედეგები. პრაქტიკუმის დასრულების შემდგომ, ვთხოვე გამოეთქვათ იდეები შემდგომი პრაქტიკუმის დასაგეგმავად;

- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის დროს, მოსწავლეებს ვაძლევდი წერილობით განმავითარებელ შეფასებას, სადაც აქცენტს ვაკეთებდი მოსწავლეთა ჯერ ძლიერ, შემდგომ კი გასაუმჯობესებელ მხარეებზე. მოსწავლეებს ვაძლევდი კონკრეტულ რეკომენდაციებს უკეთესი შედეგების მისაღწევად;
- დავგეგმე და ჩავატარე დიაგნოსტიკური წერები, შემდგომ კი განვახორციელე მათი ანალიზი;
- შემაჯამებელი სამუშაოების ბოლოს ტარდებოდა მოსწავლეთა ანონიმური ანკეტირება.
- დაიგეგმა მშობელთა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა შეფასების ტიპებისა და შეფასების კრიტერიუმების გასაცნობად;

## 6.2. ინტერვენციების რეალიზება და მათი ანალიზი:

ინტერვენციების განხორციელებამ დადებითი შედეგი გამოიღო:

მოსწავლეები დიდი ინტერესით ჩაერთვნენ მრავალფეროვანი გაკვეთილების დაგეგმვასა და შესაბამისი აქტივობების განხორციელებაში, რადგან პრობლემურ შესასწავლ საკითხად დასახელდა ლითონთა და არალითონთა ოქსიდებთან და ჰიდრატებთან შესაბამისობა.

მოსწავლეების ჩაბმამ საგაკვეთილო რესურსების შექმნაში დიდი ინტერესი და ხალისი გამოიწვია, რამაც საგნის მიმართ მათი მოტივაცია გაზარდა.

მოსწავლეებს შევაქმნევინე მოლეკულათა ბურთულდეროვანი მოდელები, ლითონებისა და არალითონებისთვის შესაბამისი ოქსიდთა და ჰიდრატთა ცხრილი.

დავგეგმე და მოსწავლეთა ინტერესებს მოვარგე ლაბორატორიული პრაქტიკუმის თემა და საკლასო აქტივობები, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. მოსწავლეებმა ბუნებრივი პროდუქტებიდან საკუთარი ხელით დაამზადეს ინდიკატორები და შეისწავლეს მათი შეფერილობა მჟავა და ტუტე ხსნარებში.

სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართვამ აამაღლა მოსწავლეთა პასუხისმგებლობა საშინაო დავალებების შესრულების მიმართ, რაც თავის მხრივ მოტივაციის ამაღლების მიზეზი გახდა.

განმავითარებელი შეფასებები მორგებული იყო მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილი იყო ყველა მოსწავლისთვის.


არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეები უპრობლემოდ მომმართავდნენ დახმარების მიზნით მათთვის გაუგებარ საკითხებთან დაკავშირებით. მათ გაუჩნდათ მოლოდინი, რომ მე შემძლია ვიყო არა მარტო მათი დამხმარე, არამედ კრიტიკული მეგობარიც.

ზეპირმა და წერილობითმა გამოკითხვებმა ზუსტად წარმოაჩინა, მოსწავლეებს დამოუკიდებლად რომელი სამუშაოს შესრულება უჭირთ, სწავლების რა ეტაპზე იმყოფებიან და რომელი მიმართულებით უნდა დაიგეგმოს შემდგომი გაკვეთილები. მოსწავლეების მიერ თვითშეფასება და ურთიერთშეფასება იყო ობიექტური.

ჩემ მიერ დაგეგმილი დიაგნოსტიკური წერების სამუშაოების ანალიზის შემდგომ წერილობითი განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს უადვილებდა, დაეგემათ სასწავლო მასალის თანმიმდევრობა. კონკრეტული რეკომენდაციები იყო მიზანმიმართულად ჩამოყალიბებული და შედეგზე ორიენტირებული. შემაჯამებელი სამუშაოების მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებამ გაზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია.

კეთებით სწავლებამ უზრუნველჰყო მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, რამაც ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტისა და შესაბამისი შედეგების მიღწევის საშუალება მომცა.

დიაგნოსტიკურმა წერებმა და ნაშრომების ანალიზმა, განმავითარებელმა შეფასებებმა შესაბამისი შედეგი გამოიღო და ბოლო სამი შემაჯამებელი წერის შედეგები გაიზარდა, რასაც წარმოგიდგენთ



როგორც ვხედავთ, წინსვლა საგრძნობია, გაიზარდა მოსწრება და შესაბამისად გაიზარდა მოტივაციაც.  
 კვლევის შედეგებზე დაკვირვების მიზნით, კიდევ ერთი ანონიმური ანკეტირება ჩავატარეთ, რომლის მიზანაც მოსწავლეების მხრიდან ჩვენს მიერ განხორციელებული ინტერვენციის ობიექტური შეფასება იყო.

**6.3. მოსწავლეთა მიერ ინტერვენციის ობიექტური შეფასება:**

ანკეტირებისას შემდეგი კითხვარი გამოვიყენეთ:

1. როგორია თქვენი აკადემიური მოსწრება?  
 მაღალი..... საშუალო..... დაბალი.....
2. შესამჩნევია, თუ არა ქიმიაში თქვენი წარმატების ან უკეთესი სწავლის შედეგი შენთვის?  
 დიახ.... არა....
3. ამჩნევს თუ არა შენს შედეგს მშობელი?  
 დიახ.... არა....
4. ამჩნევს თუ არა შენს შედეგს მასწავლებელი?  
 დიახ.... არა....



5. გამრავალფეროვნდა თუ არა ქიმიის გაკვეთილები წლის დასაწყისთან შედარებით?  
დიახ.... არა....
6. ხალისით ერთვებოდი თუ არა კლასგარეშე აქტივობებში და საგაკვეთილო რესურსების შექმნაში?  
დიახ... არა....
6. გაიზარდა თუ შემცირდა განმსაზღვრელი შეფასება წლის დასაწყისთან შედარებით?  
გაიზარდა..... შემცირდა.....
7. საგაკვეთილო პროცესში შენი ჩართულობა  
მაღალია ..... საშუალოა.... დაბალია....
- 9 რამდენად ხშირად იღებ განმავითარებელ შეფასებას?  
არ მიმიღია ..... იშვიათად ..... ხშირად....
10. გეხმარება თუ არა განმავითარებელი შეფასება ხარვეზების გამოსწორებაში ?  
დიახ..... არა.....
11. გაიზარდა თუ არა შენი მოტივაცია ქიმიის შესწავლის მიმართ?  
დიახ.... არა....
12. როგორ აფასებთ განხორციელებულ ინტერვენციებს?  
დადებითად..... უარყოფითად.....

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული ინტერვენციების შეფასება



■ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა 45%

■ საშუალო აკადემიური მოსწავლეთა 30%

■ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა 15%

როგორც თვალსაჩინოება ცხადჰყოფს, განხორციელებული ინტერვენციები მოსწავლეებმა დადებითად შეაფასეს.

- გამოვყავი არასაგაკვეთილო დრო, როცა ნებისმიერ მოსწავლეს შეეძლო მოემართა ჩემთვის დახმარების გაწევის მიზნით.
- ლაბორატორიული პრაქტიკუმის დაგეგმვისას, აქტივობები დავგეგმე ისე, რომ მოსწავლეებს საკუთარი ხელით ჩაეტარებინათ ცდები და გაეანალიზებინათ ცდის შედეგები. პრაქტიკუმის დასრულების შემდგომ, ვთხოვე გამოეთქვათ იდეები შემდგომი პრაქტიკუმის დასაგეგმვაად.
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის დროს, მოსწავლეებს ვაძლევდი წერილობით განმავითარებელ შეფასებას, სადაც აქცენტს ვაკეთებდი მოსწავლეთა ჯერ ძლიერ, შემდგომ კი გასაუმჯობესებელ მხარეებზე. მოსწავლეებს ვაძლევდით კონკრეტულ რეკომენდაციებს უკეთესი შედეგების მისაღწევად.
- დავგეგმე და ჩავატარე დიაგნოსტიკური წერები, შემდგომ კი ისინი გავანალიზე.
- შემაჯამელი სამუშაოების ბოლოს ტარდებოდა მოსწავლეთა ანონიმური ანკეტირება.
- დაიგეგმა მშობელთა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა შეფასების ტიპებისა და შეფასების კრიტერიუმების გასაცნობად.

## თავი VII

### 7.1. დასკვნა - კვლევის შედეგები და სარგებლიანობა:

მოსწავლეთა ჩართვამ კეთებით სწავლებაში დადებითი შედეგი გამოიღო: ამაღლდა მოსწავლეების მოტივაცია და ჩართულობა. ლაბორატორიული სამუშაოები მათთვის სასარგებლო და საინტერესო აღმოჩნდა. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამდნენ მოსაზრებებს ჩატარებული რეაქციების ასახსნელად და აფიქსირებდნენ სურვილს მომავალში ჩატარებინათ მსგავსი აქტივობები.

მოსწავლეები აქტიურობდნენ საგაკვეთილო პროცესისთვის ელექტრონული რესურსების შექმნაში (სლაიდების შექმნა, ინტერნეტ სივრცეში რეაქციათა შესაბამისი ვიდეოების მოძიება) და საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები. ნაერთთა კლასების შესასწავლად, შექმნეს ბურთულფეროვანი მოდელები, პლაკატები შესაბამისობებით (ლითონი-ფუძეოქსიდი - ფუძე), (არალითონი-მჟავაოქსიდი-მჟავა).

მშობელთა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრამაც დადებითი შედეგები გამოიღო: ჩაერთვნენ სასკოლო ცხოვრებაში, უკეთ გააცნობიერეს მასწავლებლების როლის მნიშვნელობა მათი შვილების ცოდნისა და უნარების ფორმირების პროცესში. შეძლეს შვილების დასახმარებლად დროის, ენერჯისა და რესურსების გამონახვა. მშობლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ შვილების მოტივაციის ამაღლებასა და შედეგების გაუმჯობესებაში.

მასწავლებელთა ფოკუს-ჯგუფის წევრებმა უკეთ გაიაზრეს მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და კეთებით სწავლების სარგებლიანობა და შეძლეს „ეფექტური უკუკავშირის“ მნიშვნელობის გაცნობიერებით განმავითარებელი შეფასებების საკუთარ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგება. წერილობითი სახით მომზადებული განმავითარებელი შეფასება საკმაოდ შრომატევადია ყველა მასწავლებლისთვის, მაგრამ ასეთი ტიპის შეფასებები უდაოდ დადებით ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა შედეგებზე. განმსაზღვრელი შეფასებები გახდა გამჭვირვალე და გასაგები ყველა მოსწავლისთვის.

არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეებთან შეხვედრამ მათ აგრძნობინა, რომ შემძლია ვიყო „კრიტიკული მეგობარი“ და ვარ კეთილგანწყობილი მათი გონებრივი

შესაძლებლობების მიმართ. უფრო ადვილად მიზიარებდნენ საკუთარი აზრს და პრობლემების გადაჭრაში დახმარებას მიხვდნენ.

ვფიქრობთ, პედაგოგები ამ კვლევაში აღმოაჩენენ ისეთ საკითხებს, რაც მათ მუშაობაში დაეხმარებათ.

კვლევა სარგებელს მოუტანს სკოლებს: გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია, მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მასწავლებელთა დაინტერესება მრავალფეროვანი გაკვეთილებისა და კლასგარეშე აქტივობების ჩატარებით, აგრეთვე ეფექტური უკუკავშირის განხორციელებით. ამალდება მოსწავლეთა მოტივაცია და სწავლის ხარისხი.

## 7.2. შემუშავებული რეკომენდაციები:

- დაგეგმეთ და ჩაატარეთ მრავალფეროვანი გაკვეთილები და კლასგარეშე აქტივობები;
- ჩააბით მოსწავლეები საგაკვეთილო რესურსების შექმნაში;
- უფრო ხშირად დაგეგმეთ ლაბორატორიული სამუშაოები და ჩართეთ მოსწავლეები ცდების ჩატარებაში, გაანალიზებინეთ მათ მიერ თუნდაც შეცდომებით ჩატარებული ცდები;
- გამოუცხადეთ მოსწავლეებს ნდობა, რათა დაეხმაროთ მოლოდინების გამართლებაში;
- საგაკვეთილო პროცესში - დიაგნოსტიკური წერების დახმარებით დაადგინეთ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები;
- თემის ან რამდენიმე გაკვეთილის შეჯამებისას, ზეპირი ან/და წრილობითი გამოკითხვების საფუძველზე, დააფიქსირეთ - კონკრეტული მოსწავლისთვის ზუსტად რომელი სამუშაოს შესრულებაა პრობლემატური;
- ნაერთთა კლასების შესწავლისას მოსწავლეებს ჯერ ლითონისა და არალითონის გარჩევა და პერიოდულ სისტემაში პოვნა ასწავლეთ, შემდგომ შესაბამისობები: ლითონი- ფუძეოქსიდი- ფუძე, არალითონი- მჟავაოქსიდი- მჟავა. შესაბამისობები დაადგინეთ მჟავაოქსიდისა-მჟავასთან, ფუძეოქსიდისა ფუძესთან სტრუქტურული ფორმულების ჩაწერისა და ბურთულდეროვანი მოდელების სტრუქტურების ანალიზის საფუძველზე;

- ნაერთთა კლასებში გენეტიკური კავშირების შესწავლისას დააწერინეთ არა მარტო რეაქციები, არამედ საკუთარი ხელით ჩაატარებინეთ ცდები.
- დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის შემდგომ, მიეცით მოსწავლეებს წერილობითი განმავითარებელი შეფასებები, სადაც აქცენტს გააკეთებთ ჯერ ძლიერ, შემდგომ კი გასაუმჯობესებელ მხარეებზე. მიეცით კონკრეტული რეკომენდაციები უკეთესი შედეგების მისაღწევად;
- საგაკვეთილო პროცესი, კლასგარეშე აქტივობები და შემაჯამებელი სამუშაოები მოსწავლეთა ინტერესებს მოარგეთ, რაც გაზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას;
- ყოველი შემაჯამებელი სამუშაოს შემდგომ დაწერეთ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი. ანალიზის შედეგები გიჩვენებთ მოსწავლეთა მიღწევების დონეს;
- გაზარდეთ მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. გააცანით შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ტიპები, რათა უკეთ გააცნობიერონ მასწავლებლის როლი ცოდნისა და უნარების ფორმირების პროცესში.

## გამოყენებული ლიტერატურა და ბმულები:

1. Brophy, 2004; Pintrich & Schunk, 2002;
2. McDermott, Mordell & Stotzfus 2001; Wang, Heartel, & Welberg, 1993; R. Weinstein, 1998).
3. R. Weinstein, 1998, გვ.81)
4. ინასარიძე მ, ლობჯანიძე ს, რატიანი მ, სამსონია ი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწილი II მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016 [http://tpdc.gov.ge/uploads/pdf\\_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf](http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf)
5. სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის „თვისობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, თინათინ ზურაბიშვილი თბილისი 2006 წ
6. სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის „თვისობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, ლია წულაძე თბილისი 2008წ)
7. ლობჯანიძეს. „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“ ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“ 2012 წლის 3 მაისი. <http://mastsavlebeli.ge/?p=281>
8. გიორგაძე მიხ. „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ / ციფრული რესურსი <http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201>
9. ზურაბიშვილი თ. „თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006 წ. [http://old.ucss.ge/geo/publication/publications\\_detail.php?ID=173](http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173)
10. Convington, 2000; Gehlbach & Roeser, 2002; Lepper & Henderlong, 2000.
10. წულაძე ლ. „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ თბ. 2008. [http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi\\_kvlevis\\_meTodebis\\_saxelomzgv.pdf](http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf)
11. გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები (29 აგვისტო, 2014) მანანა ბოჭორიშვილი <http://mastsavlebeli.ge/?p=1915>
12. ლობჯანიძე ს., პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, ლექცია N7 <http://videochannel.iliauni.edu.ge/7-1-7/>
13. ლობჯანიძე ს., როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“ <http://mastsavlebeli.ge/?p=281>
14. მასლოუ აბრაჰამ <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A3>
15. პედაგოგიური კვლევის მეთოდები

<http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1308>

16. საჯაია მ., ემპათიის სწავლება დანიელი მშობლების რჩევები  
<http://mastsavlebeli.ge/?p=1586>

17. სიმპათიური და ემპათიური

<https://vtsertsvadze.wordpress.com/2013/01/22/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/>

18. როგორ ვაწარმოთ პედაგოგიური კვლევა <http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201>

19. ნ.ჯანაშია,ნ.იმედაძე,ს.გიორგაძე განვითარებისა და სწავლისთეორიები. მსწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

20. უფროსი და წამყვანი მასწავლებლების დამატებითი აქტივობების შეფასება  
<https://www.youtube.com/watch?v=chS8Q77BUow>

21. <http://mastsavlebeli.ge/?p=2546>; - „უზნაძის თეორია და პედაგოგიკა“ (2012 წ.);

22. <https://mix.office.com/watch/5lkpevz5h303> - „პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“ , ლ. ჯიმშელიძევილი (2016 წ.);

23. <https://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201>-, „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე“, მ.გიორგაძე (2013 წ.);

## რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

„კეთებით სწავლება“ და მაღალი მოტივაცია მოსწავლეებში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია სასწავლო პროცესში დადებითი შედეგების მისაღწევად. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ მოახერხებს მასწავლებელი მოსწავლეებში აღძრას სურვილი - ისწავლონ კარგად, განივითარონ საჭირო უნარ-ჩვევები. საბაზო საფეხურზე აღნიშნული უნარ-ჩვევების გამომუშავება საკმაოდ რთული და სპეციფიკურია. განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს არა მარტო მოსწავლისაგან, არამედ მასწავლებლისა და მშობლებისგანაც. მასწავლებელმა მიზანმიმართულად და გააზრებულად უნდა გამოიყენოს თითოეული გაკვეთილი, თითოეული სასწავლო აქტივობა.

ჩემი კვლევის მიზანი იყო:

- მოსწავლეთა შედეგების კლების გამომწვევი მიზეზების გარკვევა VIII კლასებში, VII კლასთან შედარებით;
- იმის გარკვევა, როდის სწავლობენ ქიმიას უკეთესად: ლაბორატორიული პრაქტიკუმების ჩატარებისას, თუ მხოლოდ წიგნთან მუშაობა უადვილდებათ;
- კონკრეტულად რომელი თემა უჭირთ და რა არის საჭირო ზემოაღნიშნული თემის უკეთ შესწავლისთვის;
- VIII-კლასის მოსწავლეთა მშობლების უკმაყოფილების მიზეზების გარკვევა;
- იმის გარკვევა, მასწავლებელთა განმავითარებელი კომენტარები შეესაბამება თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
- რამდენად იყენებენ VIII კლასის პედაგოგები ეფექტიან განმავითარებელ შეფასებებს - განმსაზღვრელ შეფასებებთან ერთად;
- იცნობენ, თუ არა მშობლები შეფასების კრიტერიუმებს;
- უზიარებენ, თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და შეფასების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადაჭრის გზების შესახებ.
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ვიყენებთ თუ არა პედაგოგები მრავალფეროვან სტრატეგიებს საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას;
- რამდენად მიზანმიმართულად ვიყენებენ VIII კლასის ქიმიის პედაგოგები საინტერესო საკლასო და კლასგარეშე აქტივობებს მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად;

### დაიგეგმა შესაბამისი ინტერვენციები:

მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ინტერვენციები:

- 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმე და ჩავატარე შემდეგი ტიპის გაკვეთილები: ლაბორატორიული პრაქტიკუმი, პროექტი-გაკვეთილი, პრობლემაზე



ორიენტირებული გაკვეთილი, ელექტრონული რესურსების გამოყენებით დაგეგმილი გაკვეთილები.

- მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად ისინი ჩავრთე საკლასო რესურსების შექმნაში;
- ჩავატარე გამოკითხვა: რა ტიპის აქტივობებით ინტერესდებიან, რომლითაც უკეთესად იგებენ ახალ მასალას;
- შევისწავლე მოსწავლეთა ინტერესები და შესაბამისად, ჩავრთე კლასგარეშე აქტივობებში: კვლევით პროექტებში, მოვაწყე საგნობრივი ექსკურსია ექსპერიმენტარიუმში, გავაანალიზეთ ქიმიური მოვლენები;
- მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასკოლო და საშინაო აქტივობებში ჩავრთე მშობლებიც, რომელთაც სისტემატურად ვაწვდიდი ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ; აგრეთვე, ვაწვდიდი ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა დახმარებოდნენ შვილებს დავალების შესრულებაში;
- გამოვყავი არასაგაკვეთილო დრო, როცა მოსწავლეს შეეძლო, მოემართა ჩამთვის დახმარების გაწევის მიზნით;
- ლაბორატორიული პრაქტიკუმის დაგეგმვისას აქტივობები დავგეგმე ისე, რომ მოსწავლეებს თვითონ ჩაეტარებინათ ცდები და გაეანალიზებინათ ცდის შედეგები. პრაქტიკუმის დასრულების შემდგომ, ვთხოვე, გამოეთქვათ იდეები შემდგომი პრაქტიკუმის დასაგეგმავად;
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის დროს, მოსწავლეებს ვაძლევდი *წერილობით განმავითარებელ შეფასებას*, სადაც აქცენტს ვაკეთებდი მოსწავლეთა ჯერ ძლიერ, შემდგომ კი გასაუმჯობესებელ მხარეებზე. მოსწავლეებს ვაძლევდი კონკრეტულ რეკომენდაციებს უკეთესი შედეგების მისაღწევად;
- დავგეგმე და ჩავატარე დიაგნოსტიკური წერები, შემდგომ კი განვახორციელე მათი ანალიზი;
- შემაჯამელი სამუშაოების ბოლოს ტარდებოდა *მოსწავლეთა ანონიმური ანკეტირება*;
- განხორციელდა მშობელთა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა შეფასების ტიპებისა და შეფასების კრიტერიუმების გასაცნობად.

ჩემი კვლევა „თვალსაჩინოების როლი ნაეთთა კლასების შესწავლაში“ გავაცანი კოლეგებს, რადგან ჩემთვის მათი აზრი მნიშვნელოვანია. აუცილებელია აგრეთვე სხვების გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციები და იდეები.

კოლეგები პრეზენტაციის მოსმენის შემდეგ მისვამდნენ შეკითხვებს, აზუსტებდნენ ინფორმაციას. სურვილი გამოთქვეს, თავადაც აწარმოონ კვლევები და ითანამშრომლონ ჩემთან. გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები.

ჩემმა კოლეგებმა აღნიშნეს, რომ მსგავს პრობლემას მის პრაქტიკაშიც ჰქონდა ადგილი და ჩემ მიერ განხორციელებულ ინტერვენციებს აუცილებლად გამოიყენებენ, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მოტივაციის ამაღლება და შედეგების გაუმჯობესება.

ჩემმა მათვე აღნიშნა, რომ მრავალფეროვანი გაკვეთილებისა და ლაბორატორიული პრაქტიკუმების ჩატარება, კეთებით სწავლება ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ასეთი ტიპის გაკვეთილებს დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მოსწავლეთა შედეგებზე.

დირექტორის მოადგილემ, კმაყოფილება გამოთქვა ჩემი მუშაობის მიმართ. მან აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ამ კვლევას სხვა საგნებში სხვა პედაგოგებიც განახორციელებენ და შემდგომში მოხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

დირექტორმა, აღნიშნა, რომ კვლევა სარგებელს მოუტანს სკოლებს: გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია, მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, აგრეთვე გაიზრდება მასწავლებელთა დაინტერესება მრავალფეროვანი გაკვეთილებისა და კლასგარეშე აქტივობების გამოყენების თვალსაზრისით. რაც მთავარია, ამაღლდება სწავლის ხარისხი.

კვლევის პრეზენტაციის შედეგად შეიძლება დავასკვნა, რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ჩემი პროფესიული განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. კვლევის შედეგებს შემდგომ სასწავლო წლებშიც აუცილებლად გავითვალისწინებ.